



დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება N97

2014წლის 25 დეკემბერი

ქ. დუშეთი

დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელფასო ანაზღაურების გარეშე მყოფი წევრებისათვის საახალწლოდ დახმარების გაცემის შესახებ

საკრებულო აღნიშნავს, რომ საკრებულოს 17წევრი, რომლებიც არ წარმოადგენენ თვითმმართველობის თანამდებობის პირებს და არ ღებულობენ ხელფასს, სადეპუტატო უფლებამოსილებას პრაქტიკულად ენთუზიაზმით ანხორციელებენ.

გამომდინარე აღნიშნულიდან, საკრებულო მიიჩნევს, რომ მათი, როგორც დეპუტატის, საქმიანობის წახალისების მიზნით, თითოეულ მათგანზე, საახალწლოდ, გაიცეს 500(ხუთასი) ლარი.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის პირველი, მეორე ნაწილების და ამავე კოდექსის მე-16 მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1.დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 17 (ჩვიდმეტი) წევრზე, რომლებიც არ წარმოადგენენ ადგილობრივი თვითმმართველობის თანამდებობის პირებს და როგორც დეპუტატები არ ღებულობენ ხელფასს, გაიცეს თითოეულზე 500 (ხუთასი) ლარი დანართი №1-ის მიხედვით.

2.დახმარების გაცემა მოხდეს დუშეთის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტით, საკრებულოს წევრების ხარჯების ანაზღაურების მიზნით გათვალისწინებული თანხიდან.

3.დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობამ (გამგებელი ვაჟა ჩოხელი) უზრუნველყოს ამ განკარგულების სისრულეში მოყვანა.

4.ეს განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ლაფანაშვილი

საკრებულოს სახელფასო ანაზღაურების გარეშე მყოფი წევრების სია, რომლებზეც უნდა გაიცეს დახმარება საკრებულოს 2014 წლის 25 დეკემბრის N 97 განკარგულების საფუძველზე

1. აფციაურიმამუკა
2. არაბულიზურაბი
3. ახალაშვილიირაკლი
4. ბურდულიდავითი
5. დაიაურიგელა
6. ზვიადაურიგარსევანი
7. თეთრუაშვილიივანე
8. ისაშვილიჯუმბერი
9. კარიაულიზაზა
10. კობიაშვილიგიორგი
11. პეტრიაშვილიროინი
12. ყარმაზანაშვილიგოგიტა
13. ყაჭიურიზურაბი
14. ქოჩაშვილინანული
15. შერმადინილევანი
16. ჩხუტიაშვილიტარიელი
17. ჭინჭარაულიიოსები

საკრებულოსთავმჯდომარე

გიორგი ლაფანაშვილი